Visegrad Fund

ონლაინ „ხმის მრიცხველის“ - ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის (VOTER ADVICE APPLICATION) დანერგვა საქართველოში - მიღებული გაკვეთილები

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ეკატერინე გამახარია
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

ემა კამკია
ფონდი „სოხუმის“ მონიტორი

ლალი შენგელია
ფონდი „სოხუმის“ საინფორმაციო სექტორის ხელმძღვანელი

მარტი, 2021

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 4

თავი I
ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია
„ონლაინ ხმის მრიცხველი“ - არსი და მნიშვნელობა 7

თავი II
ვიშეგრადის ქვეყნების პარტნიორებთან
თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება 10

თავი III
პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა
აპლიკაციაში ჩართვის მიზნით 16

თავი IV
ამომრჩევლებთან გამართული საინფორმაციო
შეხვედრები, როგორც „ონლაინ ხმის მრიცხველის“
პოპულარიზაციის პროცესის ნაწილი 21

თავი V
მასმედიასთან მუშაობა 33

დანართი-კითხვარი 42

დაიბეჭდა
ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის
მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი
ორგანიზაციის მოსაზრებებს

წინასიტყვაობა

ბენედიქტ ივანოვსი

ფონდი „სოხუმის“ საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტი

პროექტის „ონლაინ ხმის მრიცხველი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“ ავტორი

ონლაინ ხმის მიცემის ელექტრონული მრიცხველის ძირითადი იდეაა, ამომრჩეველს წარუდგინოს ინსტრუმენტი, რათა მოახლოებული არჩევნების დროს შეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. ევროპაში ეს მოდელი ფართოდაა გავრცელებული და გამოყენებული არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ ადგილობრივი არჩევნების წინაც, რათა დაეხმაროს ამომრჩევლებს, მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ისეთ პირობებში, როცა ვრცელდება საკმაოდ დიდი რაოდენობის და მრავალმხრივი ინფორმაცია.

საქართველოს შემთხვევაში, ვფიქრობ, ეს საინტერესოა იმიტომაც, რომ ქართველებს უყვართ პოლიტიკაზე საუბარი, ზოგჯერ ემოციურადაც და ეს იწვევს სერიოზულ დისკუსიებს. ონლაინ ხმის მიცემის ელექტრონული მრიცხველი ამომრჩეველს აძლევს შესაძლებლობას, იფიქროს უპირველესად არგუმენტებზე, რომლებსაც პარტია წარმოადგენს და ამის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება და არა იმის მიხედვით, მოსწონს თუ არა კონკრეტული პიროვნება, ან რომელ პარტიას აქვს მეტი მედიამხარდაჭერა. აპლიკაცია არის შესაძლებლობა პატარა პარტიებისთვის, წარმოადგინონ უკეთესი არგუმენტები, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ფართოდ წარმოდგენილნი მედიაში.

ვფიქრობ, საქართველოს შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ, შესთავაზონ პარტიებს ერთგვარი დღის წესრიგი, თუ რა საკითხები უნდა განიხილებოდეს არჩევნების წინ. მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ საარჩევნო კამპანიაზე და წამოსწიონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, იმისდა მიუხედავად, საუბრობს თუ არა პარტია მათ შესახებ.

საქართველოში ბევრი პარტია იღებს მონაწილეობას არჩევნებში, ამიტომ ეს კარგი ინსტრუმენტია იმის გასაგებად, რამდენად ახლოსაა პარტია შენს პიროვნულ სტანდარტებთან. გრძელვადიან პერსპექტივაში სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, გაეცნოს ამ ონლაინ ინსტრუმენტს და ნახოს, რეალურად მიჰყვება თუ არა მას კონკრეტული პოლიტიკური პარტია და რამდენად არის თანხვედრაში გაცემული დაპირებები მის მიერ განხორციელებულ რეალურ მოქმედებებთან.

ამიტომაც ამ ინსტრუმენტის გამოყენება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

შესავალი

მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობის პირობებში, რასაც საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევა მოწმობს,[1] დიდ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური ნდობის გაძლიერებისკენ მიმართული მოქმედებების წარმართვა. სწორედ პოლიტიკური ნდობა აყალიბებს მოქალაქეების მხრიდან კოლექტიური ვალდებულებების და კანონების შესრულების სურვილს და მზაობას, ჩაერთონ მათთვის პრიორიტეტული პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში. მოსახლეობის აქტიურობა და მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში უზრუნველყოფს მათ პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის გატარებას, მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულების ზრდას, რაც მონაწილეობითი დემოკრატიის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

არჩევნები მოქალაქეთა ნების გამოვლენის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, ხოლო **წინასაარჩევნო კამპანიის პროცესი** - ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი გარემო მოქალაქეების ჩართულობისა და მათთვის პრიორიტეტულ საკითხებზე პოლიტიკურ სუბიექტებთან კომუნიკაციისთვის. საარჩევნო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება ზრდის მოქალაქეებისთვის აქტუალური და პრიორიტეტული საკითხების ასახვის შანსს პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში. მოქალაქეების მაქსიმალური ინფორმირება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ასახული პრიორიტეტების და მიმართულებების შესახებ კი არჩევნების დროს ამომრჩევლის გაცნობიერებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების საუკეთესო წინაპირობაა.

ფონდი „სოხუმი“ 2005 წლიდან აქტიურად მუშაობს წინასაარჩევნოდ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის მიმართულებით. 2005 წლიდან დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში შექმნილი „ამომრჩეველ ქალთა კლუბების“ დახმარებით, წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტების კრებულის გამოცემით და ფართო გავრცელებით, საინფორმაციო შეხვედრებისა თუ მრგვალი მაგიდების ორგანიზებით ცდილობდა, ხელი შეეწყო მოსახლეობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის გაძლიერებისა და მოქალაქეების მაქსიმალური ინფორმირებისთვის პოლიტიკური პარტიების პროგრამული მიმართულებების შესახებ. მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ „პარტიების პოლიტიკური პროგრამების კრებულების“ გავრცელება და შეხვედრები ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო მასების მოცვას და ინფორმაციის სრულად და გასაგებ ენაზე მიწოდებას. სწორედ

1 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო“. ხელმისაწვდომია https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/TRUPPS/

ajylb @cj[evbc#
ajnjfhmbdblfy

ამიტომაც დადგა ფონდი „სოხუმის“ დღის წესრიგში ინფორმირების ახალი და უფრო ეფექტიანი ფორმების ძიების საჭიროება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის მრავალ ქვეყანაში წარმატებით დანერგილი „ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის“ საქართველოში რეპლიკაციის სურვილს და მცდელობას.

2020 წლის თებერვალში ფონდ „სოხუმს“ საშუალება მიეცა, წამოეწყო ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერილი პროექტი - „ონლაინ ხმის ელექტრონული მრიცხველი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“, რომელიც გამიზნული იყო, ერთი მხრივ, წინასაარჩევნოდ მოსახლეობის ინფორმირების და, მეორე მხრივ, პარტიების მხრიდან საკუთარი ამომრჩევლის მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშესაწყობად.

აპლიკაციის ამოქმედებას წინ უსწრებდა საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა ვიშეგრადის ქვეყნებში (ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც საგულდაგულოდ გვიზიარებდნენ საკუთარი ქვეყნების გამოცდილებას აპლიკაციის დანერგვის გზაზე - იმას, თუ რა სირთულეები და მიღწევები ჰქონდათ მათ ამ მიმართულებით. ხოლო, დაგროვილი გაკვეთილების გათვალისწინებით, გვაწვდიდნენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ონლაინ პლატფორმის დასანერგად ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ეყრდნობოდა ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილებას და ამავე დროს მორგებული იყო საქართველოს სპეციფიკას და თავისებურებებს.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა არაერთი შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და მოსახლეობის ფართო ფენებთან, რომლის დროსაც ხდებოდა აპლიკაციის არსის და მათი ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობა. ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის შესახებ ინფორმაციის არეალის გაფართოების და მოსახლეობის დაინტერესების მიზნით, განხორციელდა საკმაოდ ინტენსიური მედიაკამპანია, სოციალური ქსელების აქტიური გამოყენებით, ონლაინ მედია საინფორმაციო პორტალების, ტელეგადაცემების ორგანიზების და ჟურნალისტებთან თანამშრომლობის გზით.

ონლაინ მრიცხველი ამოქმედდა 2020 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში და 21 ნოემბრამდე ფუნქციონირებდა. ის საბოლოო ჯამში 68780-მა ადამიანმა შეავსო.[2] ეს კი მკაფიოდ მეტყველებს ქვეყნის მომავალი პოლიტიკური კურსის მიმართ ამომრჩევლის მაღალ ინტერესზე და ახალი მოწვევის პარლამენტისთვის პრიორიტეტული საკითხების საზოგადოებრივ დაკვეთაზე.

აღნიშნული პროექტის და ფონდი „სოხუმის“ მიერ ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის „ონლაინ ხმის მრიცხველის“ დანერგვისთვის შერჩეული სტრატეგია და მიდგომები საკმაოდ საინტერესო მეთოდოლოგიას წარმოადგენს მომავალში მსგავსი ინიციატივების განხორციელებისთვის. ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია წარმოადგენს საქართველოს სპეციფიკაზე გათვლილ, მოქალაქეთა ინფორმირების, მათი მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის უნიკალურ და ინოვაციურ მექანიზმს.

წინამდებარე **მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მიზნად ისახავს** დაინტერესებულ პირთათვის ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია „ხმის ონლაინ მრიცხველის“ დანერგვის გზაზე ფონდი „სოხუმის“ გამოცდილების და დაგროვილი გაკვეთილების გაზიარებას და მომავალში მსგავსი აპლიკაციების სხვადასხვა კონტექსტში მულტიპლიცირების და რეპლიკაციის ხელშეწყობას.

პროექტის განხორციელების თითოეული ეტაპის აღწერა საშუალებას მისცემს მკითხველს, დეტალურად გაეცნოს აპლიკაციის მეთოდოლოგიას, რაც სასარგებლო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების და ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მუშაობენ მოქალაქეების ინფორმირების, მათი მონაწილეობის გაზრდის და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით.

2 ონლაინ ხმის მრიცხველი, ხელმისაწვდომია http://onlinemricxveli.ge/

თავი I

ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია „ონლაინ ხმის მრიცხველი“ - არსი და მნიშვნელობა

ეკატერინე გამახარია

ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია „ონლაინ ხმის მრიცხველი“ არის ამომრჩევლის ინფორმირებაზე ორიენტირებული აპლიკაცია, რომელიც ეყრდნობა ევროპული ქვეყნების, მათ შორის ვიშეგრადის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას. აპლიკაცია ინოვაციური, მარტივი და საინტერესო გზით აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ.

აპლიკაციაში ასახულ კითხვებზე პასუხების გაცემით, ამომრჩეველი მოკლედ და მისთვის გასაგებ ენაზე გაეცნობა იგივე კითხვაზე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის პოზიციას და შეხედულებას.

აპლიკაციის შევსების გზით **ამომრჩეველს** შეუძლია გაიგოს, რომელი პოლიტიკური სუბიექტი დგას ყველაზე ახლოს მის შეხედულებებთან, რათა არჩევნებზე შეძლოს ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება. **პოლიტიკურ პარტიებს** კი ეძლევათ შესაძლებლობა, მინიმალური დანახარჯებით და ძალისხმევით მიაწოდონ სათქმელი მოსახლეობას, დააინტერესონ ისინი და, შესაბამისად, გაზარდონ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის ინტერესი და მოტივაცია.

პროცესის გამჭვირვალობის და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, ონლაინ პლატფორმაში ასახული **შეკითხვების შემუშავების პროცესში** აქტიურად იყვნენ ჩართულნი ვიშეგრადის ქვეყნების (ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) ექსპერტები, საქართველოში სხვადასხვა პროფილით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები. პარტიებისადმი საკუთარი კითხვების დასმის საშუალება მოქალაქეებსაც მიეცათ სოციალური ქსელის საშუალებით. კითხვარში გაერთიანდა სხვადასხვა სფეროში (საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, ეკონომიკა, სოციალური დაცვა, განათლება, ეკოლოგია, გენდერული თანასწორობა, კონფლიქტების დარეგულირება და ა.შ.) მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური საკითხები. პოლიტიკურ პარტიებს სურვილისამებრ შეეძლოთ, თავად შემოეთავაზებინათ ერთი კითხვა და დაეფიქსირებინათ აზრი მათთვის სასურველ თემაზე.

ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტის განსაკუთრებულობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, არა მარტო

www.onlinemricxveli.ge

გაერკვიათ, თუ რამდენად ახლოა მათ შეხედულებებთან კანდიდატების პოლიტიკური დღის წესრიგი, არამედ ის ქმნიდა სხვა პარალელურ შესაძლებლობებს, მათ შორის:

- **პოლიტიკური პარტიის პროგრამის შესახებ ინფორმაციის კომპაქტურად მიღება -** მაშინ, როდესაც პარტიების პროგრამები უფრო და უფრო რთული და კომპლექსური ხდება, ამომრჩევლისათვის ძნელია, იპოვოს პარტია ან კანდიდატი, რომელიც მისთვის მისაღებ შეხედულებებს იზიარებს. ინფორმაციის კომპაქტური და გასაგები სახით წარმოდგენა, რასაც გვთავაზობს ეს აპლიკაცია, ეხმარება ამომრჩეველს გადაწყვეტილების მიღებაში, მაშინაც კი, როდესაც ეს ხდება პოლიტიკური პარტიების პლატფორმების ზედმეტად გამარტივების ხარჯზე. ეს ხელს უწყობს ამომრჩეველთა აქტიურობის ზრდას და პოლიტიკური განათლების დონის ამაღლებას;

- **ამომრჩეველი ინფორმირებულია** სხვადასხვა **პარტიის პოლიტიკური პროგრამების და პოზიციების შესახებ** და მკაფიოდ ხედავს განსხვავებას მათ შორის;

- **ზრდის პარტიების ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლის წინაშე,** რადგან ამომრჩეველს ექნება შესაძლებლობა, კარგად შეაფასოს და შეადაროს - პარტიის მიერ დეკლარირებული პოზიცია და რეალური ქმედება მომავალში პარლამენტში აღმოჩენის შემთხვევაში;

- **ამომრჩეველს,** რომელსაც არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება და გაურკვეველია საკუთარ პოზიციაში, **ეხმარება ჩამოყალიბებაში;**

- აპლიკაციაში ასახული კითხვებით **პოლიტიკური პარტიები ეცნობიან ამომრჩევლისთვის პრიორიტეტულ და საინტერესო საკითხებს** და, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს ისეთ საკითხებზე გაამახვილებინოს ყურადღება საკუთარ პოლიტიკურ პროგრამაში, რაც აქამდე ასახული არ ჰქონია;

- **ზრდის სამართლიანობას და პარტიებს შორის შეჯიბრებითობას არჩევნებზე.**

მიუხედავად უამრავი სიკეთისა, აპლიკაციის დანერგვა გარკვეული **გამოწვევებითაც** ხასიათდება:

- ონლაინ პლატფორმისადმი წვდომის გართულება, განსაკუთრებით რეგიონებში და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ინტერნეტის სუსტი დაფარვის, სმარტ ტექნოლოგიების არქონის ან მათი გამოყენების უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო (განსაკუთრებით შუა და ხანდაზმული ასაკის მოსახლეობას შორის). შესაბამისად, აპლიკაციის პოპულარიზაციის დროს ფონდმა „სოხუმმა“ განსაკუთრებული ფოკუსი ახალგაზრდებზე გააკეთა და სწორედ მათი დახმარებით ცდილობდა საზოგადოების დიდი ნაწილის ჩართვას აპლიკაციის შევსების პროცესში;

- პოლიტიკური პარტიების მიერ კითხვებზე პასუხების გაცემასა და აპლიკაციის ირგვლივ კომუნიკაციაზე პასუხისმგებლობის მინიჭება ხშირად ხდებოდა ისეთი პირებისთვის, რომლებიც ანკეტის შესავსებად ნაკლებად მოტივირებულები ან არასაკმარისად კვალიფიციურები იყვნენ;

❖ პარტიებთან თანამშრომლობის პროცესში იყო მათი მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ ანტაგონიზმის მაგალითები ან თანამშრომლობის ნაკლები მოტივაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ანკეტების შევსებაზე უარის თქმა ან მათი არასათანადოდ შევსება.

ფონდი „სოხუმის“ ონლაინ ხმის მრიცხველის თავისებურებები:

➢ აპლიკაცია იყო ღია და მასში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, განურჩევლად ასაკისა;

➢ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ ეკრანზე ჩნდებოდა დიაგრამა. ის პროცენტულად აჩვენებდა პირს, თუ რომელი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური პროგრამა და ხედვა შეესაბამებოდა ამომრჩევლის პოზიციას ყველაზე მეტად. გარდა ამისა, ცალკე ფანჯარაში აპლიკაცია ანახებდა ადამიანს ყოველ კითხვაზე პარტიის მიერ გაცემულ პასუხს, რომელზე დაჭერისას ჩნდებოდა პარტიის კომენტარი, პოზიცია თუ ამონარიდი საარჩევნო პროგრამიდან;

➢ პოლიტიკურ პარტიებს კითხვარის შევსებისას ჰქონდათ სრული თავისუფლება - კონკრეტულ დახურულ კითხვაზე პასუხის დაფიქსირებასთან ერთად, ყველა კითხვაზე აესახათ საკუთარი კომენტარი/პოზიცია მათივე პოლიტიკურ პროგრამაზე დაყრდნობით, ისეთი ფორმით და მოცულობით, როგორაც საჭიროდ ჩათვლიდნენ. ზოგიერთმა პარტიამ რამდენიმე კითხვა კომენტარის გარეშე დატოვა, რასაც იმით ხსნიდა, რომ აღნიშნულ საკითხებში მათი პარტია საკმაოდ ამომწურავად პოზიციონირებს და ზედმეტ განმარტებას არ საჭიროებდა, ხოლო ზოგიერთ პარტიას გარკვეულ საკითხებზე არ გააჩნდა პოზიცია საკუთარ საარჩევნო პროგრამაში;

➢ აპლიკაციაში დაფიქსირებული პასუხების და შედეგების სტატისტიკის სახით გამოყენება შეუძლებელია, რადგან კითხვარის შევსებისას მოქალაქეები არ ახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას და რაიმე ფორმით აპლიკაციაში რეგისტრაციას. ასევე არ იყო ლიმიტირებული ერთი პირის მიერ აპლიკაციის განმეორებით შევსების შესაძლებლობაც. ონლაინ პლატფორმა ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი პირისთვის და ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩევლის ინფორმირებას აქტიური პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკური პროგრამის და დღის წესრიგის შესახებ.

www.onlinemricxveli.ge

თავი II

ვიშეგრადის ქვეყნების პარტნიორებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება

ეკატერინე გამახარია

ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის ამოქმედებას წინ უსწრებდა ფონდი „სოხუმის“ ინტენსიური თანამშრომლობა ვიშეგრადის სამი ქვეყნის - ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი - პარტნიორებთან.[3] გამოცდილების გაზიარებისთვის მიძღვნილი შეხვედრების, თემატური ტრენინგების და ანალიტიკური სტატიების პუბლიკაციის გზით, პარტნიორები აქტიურად გვიზიარებდნენ ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის საარჩევნო სისტემის და კლიმატის შესახებ. კონკრეტული მაგალითებით გვაცნობდნენ ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციების ნაირსახეობას და სპეციფიკურობას და ონლაინ პლატფორმების დანერგვის ხელშემწყობ და ხელის შემშლელ ფაქტორებს. სწორედ მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებას, მიღებულ გაკვეთილებს და შემოთავაზებულ რეკომენდაციებს დაეყრდნო ფონდი „სოხუმის“ მომავალი სტრატეგია და კონკრეტული მოქმედებები აპლიკაციის დასანერგად საქართველოში.

თანამშრომლობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

პარტნიორების შეხვედრა: რომელიც მიეძღვნა პარტნიორებს შორის ინფორმაციის გაცვლას თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური კონტექსტის და მოქალაქეების პოლიტიკური აქტიურობის შესახებ. ვიშეგრადის ქვეყნების წარმომადგენლებმა დეტალურად აღწერეს მათ ქვეყნებში არსებული ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციების ნაირსახეობა, თავისებურებები და გავლენა პოლიტიკოსების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და თავად ამომრჩეველთა ქცევის შეცვლაზე, ხოლო ქართველმა კოლეგებმა მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის და თავისებურებების შესახებ.

პარტნიორთა შეხვედრამ გააღრმავა ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლების ინფორმირება ვიშეგრადის ქვეყნების საარჩევნო გარემოზე, გამოცდილებაზე და მოქალაქეთა ინფორ-

3 კლარა ჩმოლიკოვა -კოზლოვა, „გენდერული კვლევები“ (ჩეხეთის რესპუბლიკა);
კატარჟინა ზელინსკა - პროფ. დოქტორი ჰაბილიტუსი, სოციოლოგიის ინსტიტუტი, იაგელონის უნივერსიტეტი, ფონდი „ჩანაწერები პოლონეთიდან“ (პოლონეთი)
პიტერ გურანი - მეცნიერებათა დოქტორი (PHD) ტრნავის უნივერსიტეტი ტრნავაში (სლოვაკეთი)

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდიდან

25.11.19

24-25 ნოემბერს ფონდი „სოხუმის“ ოფისში ჩატარდა ორდღიანი ვორკშოპი. ექსპერტებმა ვიშეგრადის ქვეყნებიდან და საქართველოდან ისაუბრეს პოლიტიკური სიტუაციის შესახებ თავიანთ ქვეყნებში, განიხილეს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ხმების ონლაინ მრიცხველის აპლიკაციასთან მიმართებაში, შემუშავდა მომავალი კითხვარის სამუშაო ვერსია.

www.onlinemricxveli.ge

მირების და არჩევნებში მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკაზე. შეხვედრაზე მოხდა როგორც შესაძლო გამოწვევების პროგნოზირება, რომელიც შესაძლოა აღმოცენებულიყო აპლიკაციის დანერგვის პროცესში, ასევე დაძლევის შესაძლო სტრატეგიებზე მსჯელობა. შეხვედრაზე შემუშავდა აპლიკაციის კითხვარის პირველადი ვარიანტი და გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების პროფესიულ ჯგუფებთან და რიგითი მოქალაქეების ფართო ფენებთან კონსულტაციების გამართვის შესახებ, რაც უზრუნველყოფდა ამომრჩევლისთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხების ასახვას კითხვარში და მას გაცილებით სანდოს და ლეგიტიმურს გახდიდა პოლიტიკური პარტიების თვალში.

ანალიტიკური სტატიების კრებულის პუბლიკაცია: პროექტში მონაწილე ქვეყნებში არსებული გამოცდილების სისტემატიზაციის და კომპილაციის მიზნით, მომზადდა და გამოიცა ანალიტიკური სტატიების კრებული „ვიშეგრადის ქვეყნების და საქართველოს გამოცდილება არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობის გაძლიერების საქმეში“.

კრებულში წარმოდგენილია ხუთი ანალიტიკური სტატია, რომელშიც ჩეხეთის, პოლონეთის და სლოვაკეთის ექსპერტები კლარა კოზლოვა, კატარჟინა ზელინსკა და პიტერ გურანი გვიზიარებენ თავიანთ ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილებას საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. მათ სტატიებში აღწერილია, თუ რა როლს ასრულებს წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა ინფორმირების და აქტიურობის გაზრდის საქმეში მათ ქვეყნებში უკვე ფართოდ გავრცელებული ონლაინ პლატფორმა „ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია“ (Voter Advice Application). მოყვანილია აპლიკაციის სუსტი და ძლიერი მხარეები და, მიღებული გაკვეთილების საფუძველზე, შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პლატფორმის უკეთ და ეფექტიანად დანერგვა საქართველოში.





ანალიტიკური სტატიების კრებული, თებერვალი, 2020, ხელმისაწვდომია
http://www.fsv4.ge/index.php/ka/news-ka-2/publicatiebi/266-2020-03-08-17-48-49

კრებულში ასევე ასახულია ქართველი ექსპერტების ეკატერინე გამახარიას და ლელა ხათრიძის მიერ წარმოდგენილი ორი ანალიტიკური სტატია. ერთ-ერთ სტატიაში გაანალიზებულია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელობა საქართველოში დემოკრატიის მდგრადი განვითარებისათვის და მოცემულია უნდობლობის დაძლევის კონკრეტული სტრატეგიები. მეორეში კი აღწერილია საქართველოში ძირითადი პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შესაძლო საარჩევნო სისტემების მოდელები. სტატიაში მოყვანილია ამ მოდელების შესაძლო სცენარები და გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტსა და პოლიტიკურ განვითარებაზე და გაანალიზებულია მათი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან.

ტრენინგი: ადვოკატირება მოქალაქეებისა და პოლიტიკური პარტიების აპლიკაციაში ჩართვის მიზნით - ჩეხი პარტნიორის მიერ ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლე-

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდიდან



19.02.20

ორდღიან ვორკშოპზე კლარა კოზლოვამ ქართველ პარტნიორებს გაუზიარა თავისი ქვეყნის - ჩეხეთის გამოცდილება საარჩევნო ონლაინ მრიცხველის დანერგვასთან დაკავშირებით. შემუშავდა ადვოკატირების გეგმა, გაიწერა სამუშაო სტრატეგია.

ვორკშოპი გაიმართა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ოფისში.

ბისთვის ჩატარებული ორდღიანი ტრენინგი მიზნად ისახავდა კონკრეტული ადვოკატირების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის შესახებ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების და მასში მონაწილეობის ინტერესის გაზრდა. ტრენინგზე გაანალიზდა ადვოკატირების ჩასატარებლად ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლო გამოწვევები თუ ხელშემწყობი ფაქტორები, განისაზღვრა ადვოკატირების კონკრეტული სამიზნე ჯგუფები და მოკავშირეები. ასევე გაიწერა მოქმედებათა ორი განსხვავებული გეგმა: 1. პოლიტიკურ პარტიებზე ორიენტირებული ადვოკატირების კამპანია და 2. საზოგადოების ფართო ფენებისკენ მიმართული ადვოკატირების კამპანია. ტრენინგზე შემუშავებული დოკუმენტები წარმოადგენს ფონდი „სოხუმის“ საგზაო რუკას ადვოკატირების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

ტრენინგი: „ონლაინ და მედიაკამპანიის წარმართვა აპლიკაციის პოპულარიზაციის მიზნით“. პოლონელი ექსპერტის მიერ ჩატარებული ტრენინგი მიზნად ისახავდა ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლებისთვის, პოლონურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ონლაინ და მედიაკამპანიების წარმატებული მაგალითების გაცნობას, ამომრჩევლის რჩევის აპ-

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდიდან

05.06.20

ონლაინ ხმების მრიცხველი - რა მნიშვნელობა აქვს? როგორ მუშაობს?

ამჯერად ევროპული მოდელი წარმოდგენილი იყო პოლონეთის მაგალითზე. ამის შესახებ საინტერესოდ, კონკრეტული ელექტრონული გვერდების მიმოხილვით ისაუბრა დოქტორმა კატარჟინა ზელინსკამ (სოციოლოგიის ინსტიტუტი, იაგელონის უნივერსიტეტი).

მან ვორკშოპის მონაწილეებს გააცნო პოლონეთის გამოცდილება VAA–ს (ონლაინ ხმის ელექტრონული მრიცხველი) ინტეგრირებისა და მისი შედეგების შესახებ, ასევე მედიისა და ონლაინ პლატფორმების საშუალებით VAA–ს გავრცელების პრაქტიკული ინსტრუმენტები.

ლიკაციის პოპულარიზაციისთვის კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, განეხილათ ორგანიზაციის შიდა რესურსები, მედიაკამპანიის წარმატებულად წარმართვისთვის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები. კამპანიის ეფექტიანობის და მასშტაბურობის უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა ჟურნალისტებთან, ტელე და ონლაინ მედიაპლატფორმებთან თანამშრომლობის სტრატეგიები, სოციალური ქსელის რესურსის მაქსიმალურად გამოყენების გზები.

პროექტის ფარგლებში ვიშეგრადის ქვეყნების ექსპერტებთან თანამშრომლობამ, მათი ქვეყნების პრაქტიკაში არსებული გამოცდილების და გაკვეთილების გაზიარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფონდ „სოხუმს“ ისეთი სტრატეგიების და მოქმედებების განსაზღვრაში, რამაც შექმნა აპლიკაციით მოსახლეობის და პოლიტიკური პარტიების დაინტერესების და მათი აქტიური ჩართულობის რეალური წინაპირობა. პარტნიორების მიერ გაზიარებულმა გამოცდილებამ და წარმოდგენილმა რეკომენდაციებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა აპლიკაციის დანერგვის პროცესში აღმოცენებული გამოწვევები და უზრუნველყო მოქალაქეების მაქსიმალური აქტიურობა და ინფორმირება არჩევნებში მონაწილე ყველა მთავარი პოლიტიკური სუბიექტის პოლიტიკური პროგრამის შესახებ.

www.onlinemricxveli.ge

თავი III

პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა აპლიკაციაში ჩართვის მიზნით

ეკატერინე გამახარია

ფონდი „სოხუმი“ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის მრავალწლიან ისტორიას ითვლის. ორგანიზაცია ჯერ კიდევ 2005 წლიდან აქტიურად მუშაობს წინასაარჩევნოდ დასავლეთ საქართველოს ამომრჩევლის ინფორმირების მიმართულებით. ფონდის მიერ ჩამოყალიბებული „ამომრჩეველ ქალთა კლუბები“ აქტიურად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკური პარტიების პროგრამების გავრცელების და მოსახლეობის ინფორმირების საქმეში. პარტიების საპროგრამო დოკუმენტების კრებულის მომზადების და გავრცელების გზით, საინფორმაციო შეხვედრების თუ მრგვალი მაგიდების ორგანიზებით, ორგანიზაცია ხელს უწყობდა მოსახლეობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის გაძლიერებას, აქტიურად ადვოკატირებდა პარტიების დღის წესრიგში მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხებისა და საჭიროებების ინტეგრირებას. 2006 წლიდან ფონდი „სოხუმი“ თანამშრომლობდა პოლიტიკური პარტიების „ქალთა ფრთის“ წარმომადგენლებთან მათი როლის გაძლიერების და პოლიტიკურ პროგრამებში გენდერული თანასწორობის საკითხებისა და ქალთა პრიორიტეტების და საჭიროებების გათვალისწინების მიზნით. პოლიტიკური პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებთან ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლობის მრავალწლიანმა და პოლიტიკურად სრულიად ნეიტრალურმა მიდგომამ საფუძველი ჩაუყარა აქტიურ მუშაობას ადგილობრივ თვითმმართველობებში არჩეულ საკრებულოს წევრებთან გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით. 2013 წელს ორგანიზაციამ ადგილობრივ დონეზე მოახდინა იმ დროისთვის გენდერული თანასწორობის პირველი ინსტიტუციური მექანიზმის - „გენდერული თანასწორობის საბჭოების“ პილოტირება[4] და შექმნა გენდერზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკის პირველი პრეცედენტი. ფონდი „სოხუმი“ უწყვეტად აგრძელებს აქტიურ მუშაობას აღნიშნული გენდერული თანასწორობის მექანიზმის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

4 ფონდი „სოხუმის“ მიერ საკრებულოებთან შექმნილი პირველი „გენდერული თანასწორობის საბჭოები“ მოქმედებდა 2013-2016 წლებში ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში.

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდიდან

31.07.20

ფონდის „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობამ პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრები დაიწყო. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი.
შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პარტიებმა: ეკა ბესელიას „პარტია სამართლიანობისთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“.

20.08.20

დასრულდა პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრის ეტაპი. ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის თანამშრომლები ამჯერად ოთხი პარტიის წევრებს შეხვდნენ („ქართული ოცნება“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „რეფორმერი“). მათ მიეწოდა ინფორმაცია ონლაინ მრიცხველის და მისი დანერგვის მნიშვნელობის შესახებ.



www.onlinemricxveli.ge

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების „ხმის ონლაინ მრიცხველში“ ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ფონდმა „სოხუმმა“ აირჩია **კომუნიკაციის ზემოდან-ქვემოთ და ქვემოდან-ზემოთ პარალელური სტრატეგია,** რომელიც გულისხმობდა პოლიტიკური პარტიების სათაო ოფისებთან და მათ უშუალო ლიდერებთან კომუნიკაციას, ასევე პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან ფონდი „სოხუმისთვის“ უკვე ცნობილ პოლიტიკოსებთან თანამშრომლობას. ერთი მხრივ, თავად პარტიული ლიდერებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიის მხრიდან დაინტერესებას, შემდეგი კომუნიკაციისთვის პარტიიდან გამოყოფილ საკონტაქტო პირთან პროდუქტიულ თანამშრომლობას და წარდგენილი კითხვარის დროულად შევსებას. ისეთ შემთხვევებში კი, სადაც რთულდებოდა ცენტრალურ დონეზე პარტიის ლიდერებთან ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია, გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ფონდი „სოხუმის“ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და წლების განმავლობაში ამომრჩევლებთან და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით დაგროვილ გამოცდილებას. მათი ხელშეწყობით ხდებოდა პარტიების სათაო ოფისებთან დაკავშირება და თანამშრომლობის წამოწყება.

აპლიკაციაში პარტიების ასახვის შეზღუდული შესაძლებლობის გამო აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა მხოლოდ უკვე მოქმედ, **წინა საპარლამენტო არჩევნებზე მაღალი რეიტინგის მქონე** პოლიტიკურ სუბიექტებთან და ასევე **ახალდარეგისტრირებულ პარტიებთან**, რომლებიც საკმაოდ აქტიურად პოზიციონირებდნენ საარჩევნო მარათონში და მოქალაქეების მხრიდან მაღალ ინტერესს და ყურადღებას იპყრობდნენ. საბოლოოდ, აპლიკაციაში მონაწილეობა მიიღო ცამეტმა პოლიტიკურმა პარტიამ.[5]

პარტიებისთვის მიწოდებულმა **მაქსიმალურად სრულმა და გამჭვირვალე ინფორმაციამ** ორგანიზაციის საქმიანობის, პროექტის არსის, მიზნების, დაფინანსების წყაროს და აპლიკაციის პოპულარიზაციისთვის შერჩეული ფორმების შესახებ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი მხრიდან ორგანიზაციის მიმართ სანდოობის გაზრდას. ხოლო პარტიებთან კომუნიკაციისთვის გამოყენებულმა მრავალმა ფორმამ: მიმოწერა, სატელეფონო საუბრები და უშუალო შეხვედრები - პროდუქტიულ თანამშრომლობას და პარტიებისთვის მიწოდებული კითხვარების დროულად შევსებას.

ფონდი „სოხუმის“ მიერ არჩეული სტრატეგია ითვალისწინებდა კითხვარში ასახულ დახურულ კითხვებზე პარტიების მხრიდან პასუხების როგორც **- „კი, არა, ნაწილობრივ**

5 ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ლელო საქართველოსთვის“ (კომენტარები ამოღებულია პოლიტიკური პარტიის პროგრამიდან); „გირჩი“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა“; „არჩევანი სამშობლოსათვის“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „სტრატეგია აღმაშენებელი“ (კომენტარები ამოღებულია პოლიტიკური პროგრამიდან); ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“; „რეფორმერი“; რესპუბლიკური პარტია; ქართული ოცნება (არ გამოვიდა თანამშრომლობაზე. კითხვებზე პასუხი ამოღებულია პარტიის პოლიტიკური პროგრამიდან)

ვეთანხმები“ ფორმით გაცემას, ასევე ყოველი კითხვის ირგვლივ **მარტივი და მოკლედ ფორმულირებული კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას**. პოლიტიკურ პარტიებს, აპლიკაციაში მონაწილეობით დაინტერესების მიზნით, საშუალება მიეცათ, შემოეთავაზებინათ მათი პარტიისთვის აქტუალურ თემაზე „სავიზიტო“ კითხვა, რომლითაც რამდენიმე პარტიამ ისარგებლა.

აპლიკაციის დანერგვის პროცესში ცალსახად გამოიკვეთა პარტიების მხრიდან აპლიკაციით **დაინტერესება, განსაკუთრებით კი ახალი და ნაკლები ფინანსური რესურსის მქონე პარტიებისგან,** რომლებსაც აპლიკაცია უქმნიდა კარგ შესაძლებლობას, მინიმალური დანახარჯებით და ძალისხმევით გაეზარდათ თავიანთი ხილვადობა და ცნობადობა, მათთვის ხელსაყრელი ფორმით მიეწოდებინათ სათქმელი ამომრჩევლისთვის, დაეინტერესებინათ ისინი და, შესაბამისად, გაეზარდათ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის ინტერესი და მოტივაცია. წინასაარჩევნო მარათონის საკმაოდ ინტენსიური ხასიათის და პოლიტიკური ლიდერების მოუცლელობის გამო, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია აპლიკაციაში მითითებულ დახურულ კითხვებზე პასუხების მარტივი გაცემით შემოიფარგლა და კომენტარებისთვის განკუთვნილი ფანჯარა ცარიელი დატოვა. თუმცა კომენტარის გარეშე დატოვებული კითხვების ნაწილი აპლიკაციაში, პოლიტიკური პროგრამების შესწავლის შედეგად, შესაბამისი ამონარიდებით შეივსო.[6]

მუშაობის პროცესში ასევე შეიმჩნეოდა **ცალკეული პოლიტიკური პარტიების მხრიდან** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივების მიმართ **ანტაგონისტური და სკეპტიკური დამოკიდებულება** და საქართველოს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პოზიციის გაზიარების ნაკლები მოტივაცია. აღნიშნული კი ცალსახად ასუსტებს როგორც წინასაარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის და ღიაობის პრინციპს, ასევე ქმნის მომავალში ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხის რისკს და პოლიტიკურ პროგრამაში გაცემული დაპირებების შეუსრულებლობის მაღალ ალბათობას.

მიღებული გაკვეთილები

- ❑ ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის გამჭვირვალობამ გაამარტივა პოლიტიკურ პარტიებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობის წამოწყება (პოლიტიკურ პარტიებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია პროექტის მიზნის და ამოცანების, დაფინანსების წყაროს და დაგეგმილი მოქმედებების შესახებ);
- ❑ კომუნიკაციის მრავალფეროვანმა მეთოდებმა – ელფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია; შეხვედრები (ონლაინ და რეალურ სივრცეში) ხელი შეუწყვეს თანამშრომლობის ეფექტიანობას;

6 „ლელო საქართველოსთვის“; „სტრატეგია აღმაშენებელი“

www.onlinemricxveli.ge

- ❑ ფონდი „სოხუმის“ პოლიტიკურმა ნეიტრალიტეტმა და ურთიერთობაში მიუკერძოებლობამ დადებითი როლი შეასრულა პარტიებთან თანამშრომლობის დამყარებაში;
- ❑ აპლიკაციის პოპულარიზაციისთვის დაგეგმილმა მრავალფეროვანმა მოქმედებებმა კიდევ უფრო დააინტერესა პოლიტიკური პარტიები;
- ❑ პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან უშუალო კომუნიკაციამ კიდევ უფრო ეფექტიანი გახადა თანამშრომლობა;
- ❑ მოხდა ნაკლები ფინანსური რესურსების მქონე პოლიტიკური პარტიების შედარებით მეტი დაინტერესება;
- ❑ აპლიკაციის დანერგვის პროცესში გამოიკვეთა ისეთი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილნი არასამთავრობო სექტორის მიმართ და არ იყვნენ დაინტერესებულნი თავიანთი დღის წესრიგის მოქალაქეთა ფართო ფენებში გავრცელებით - მათ ჰყავდათ თავიანთი სპეციფიკური ელექტორატი და მხოლოდ მათზე ცდილობდნენ გავლენის მოხდენას.

ფონდი „სოხუმი“ აგრძელებს მუშაობას პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩეველთათვის გაცემული დაპირებების მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით და უკვე არჩეული პარლამენტის წევრების ყურადღების მიპყრობას მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

თავი IV

ამომრჩევლებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრები, როგორც „ონლაინ ხმის მრიცხველის“ პოპულარიზაციის პროცესის ნაწილი

ემა კამკია

პროექტში მკაფიოდ იყო გაწერილი შესაბამისი სტრატეგია ონლაინ მრიცხველის პოპულარიზაციისა და ცნობადობის უზრუნველსაყოფად: მომზადდა სარეკლამო ვიდეორგოლი, საინფორმაციო ფლაერები - პლატფორმის გამოყენების დეტალური ინსტრუქციით, ჩატარდა ტელეგადაცემები, განთავსდა სარეკლამო ბანერები ინტერნეტ სააგენტოებში.

ამ ღონისძიებების პარალელურად კი დაიგეგმა შეხვედრები მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირებისთვის, განსაკუთრებული ფოკუსით შედარებით მოწყვლად ჯგუფებზე, ვისაც ნაკლებად მიუწვდება ხელი ინტერნეტ რესურსებზე, ან ნაკლებია შანსი, რომ გახდეს პლატფორმის მომხმარებელი. შეხვედრები ჩატარდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან: ახალგაზრდები, ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები, სხვადასხვა პროფესიული ჯგუფი (პედაგოგები, ექიმები, სახელმწიფო მოხელეები და ა.შ.), კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოქალაქეები. საინფორმაციო შეხვედრებმა მოიცვა დასავლეთ საქართველოს შემდეგი მუნიციპალიტეტები: ქუთაისი, სამტრედია, თერჯოლა, ზუგდიდი, სენაკი, ხონი, წყალტუბო, ამბროლაური, ქობულეთი, წალენჯიხა, ბაღდათი, ოზურგეთი. საერთო ჯამში, შეხვედრებს დაესწრო 1762 ამომრჩეველი.

შეხვედრების ფორმატი და სტრუქტურა: საინფორმაციო შეხვედრები იყო შესაბამისად სტრუქტურირებული, განისაზღვრა მათი ჩატარების ვადები, ხანგრძლივობა, დრო და ფორმატი, ლოკაცია, სამიზნე ჯგუფები, გაიწერა მკაფიო ინსტრუქციები ფასილიტატორებისთვის და შეირჩა შესაბამისი უნარ-ჩვევების შემსრულებლები. საინფორმაციო შეხვედრები შედგებოდა ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში ხდებოდა ხმის დათვლის ელექტრონული სისტემის თაობაზე ინფორმირება და მისი მოხმარების პრინციპების დეტალური ახსნა. მეორე ნაწილი წარმოადგენდა ინტერაქტიულ დიალოგს მოწვეული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან და, სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიდიოდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ანუ პროექტის ფარგლებში მოხდა „ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის“ პოპულარიზაცია და ცნობადობის უზრუნველყოფა თავად ამომრჩეველთა ჯგუფებთან და საარჩევნო სუბიექტებთან უშუალო კომუნიკაციით.

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდიდან



10.07.20

გაიმართა ვორკშოპი საჯარო დისკუსიების მოწყობა/მართვასთან დაკავშირებით. ვორკშოპი მიმდინარეობდა შერეული ფორმატით - მონაწილეთა ნაწილი ფონდი „სოხუმის“ ოფისში იმყოფებოდა, ნაწილი კი სხვადასხვა რეგიონიდან ონლაინ ჩაერთო ზუმის პლატფორმის მეშვეობით. მათ ისაუბრეს არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებზე, შექმნეს სამუშაო გეგმების მონახაზი და გაწერეს სამომავლო საქმიანობა. ვორკშოპს უძღვებოდა ეკატერინე გამახარია - ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

21.07.20

როგორ უნდა ჩატარდეს საჯარო დისკუსიები? რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შეხვედრის მონაწილეებს ონლაინ მრიცხველზე, მის მნიშვნელობაზე? ამის თაობაზე ფონდი „სოხუმის“ ოფისში ჩატარდა შეხვედრა მობილიზატორებთან, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტში. მათ დეტალურად განიხილეს დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრების მიმდინარეობა.

„ამ შეხვედრებზე მოხდა ონლაინ მრიცხველის იდეის, როგორც ამომრჩევლის ინფორმირებისთვის საჭირო ინსტრუმენტის მიწოდება, რათა მოქალაქე უფრო ახლოს გაეცნოს პოლიტიკური სუბიექტების პროგრამებს, შესაძლებლობა ჰქონდეს, შეადაროს მხარეთა პოზიციები მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო. ჩვენი მიზანი იყო მათი მოტივირება და დაინტერესება მოცემული პლატფორმით, ასევე მოწვეულ პოლიტიკურ სუბიექტთან ინტერაქტიული დიალოგის ფასილიტაცია“;

„შეხვედრის მონაწილეებს სხვადასხვა განწყობა ჰქონდათ. მოქალაქეების ნაწილი თავად გამოხატავდა ინტერესს პოლიტიკური პროცესების მიმართ და, როგორც აღნიშნავდნენ, მანამდეც აქტიურად აკვირდებოდნენ საარჩევნო დებატებს. ნაწილს კი არც დაუმალავს თავისი ნიჰილისტური განწყობები და უნდობლობა პოლიტიკური სუბიექტების, ზოგადად არჩევნების თემის მიმართ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათი მოტივირება და პლატფორმით დაინტერესება მაინც ხერხდებოდა“;

„ჩვენი მიზანი იყო ამომრჩეველთა მაქსიმალურად ფართო სპექტრის მოცვა. ის კატეგორია, ვისაც ჩვენ ვხვდებოდით (დევნილები, სოციალურად დაუცველები და ა.შ.), შეიძლება, ნაკლებადაა ჩახედული თანამედროვე ტექნოლოგიებში, მაგრამ აქვს საკუთარი საჭიროებები და მოლოდინები. ის, რომ ისინი ინფორმაციას არჩევნების სპეციფიკაზე, ელექტრონულ მრიცხველზე ისმენდნენ ნეიტრალური მხარისგან და არ მიდიოდა პოლიტიკური აგიტაცია, ძალიან პოზიტიურად იყო აღქმული და გაზარდა მათი დაინტერესება“.

შეხვედრების ფასილიტატორები

მოქალაქეები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ზოგადად ამჩნევენ ნეგატიურ ტენდენციას: არჩევნების წინ ამომრჩევლისკენ მიმართული ინფორმაციის ნაკადი კონკურენტი სუბიექტების „გაშავებით“ ხასიათდება და ნაკლებადაა ახსნილი, განმარტებული პოლიტიკური პარტიების პროგრამები, მათი ორიენტირები საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის, განათლების, ეკონომიკური პლატფორმების და სხვა მიმართულებით. ამიტომ ეს **შეხვედრები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ორი ფაქტორის გამო**: მიიღეს დეტალური ინფორმაცია ონლაინ პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე და პოლიტიკურ სუბიექტებთან გამართეს უშუალო დიალოგი, დაუსვეს მათთვის საინტერესო კითხვები.

„ხშირად ქართულ საზოგადოებაზე საუბრისას იკვეთება მოსაზრება, რომ ქართველები პოლიტიკურად აქტიურები არიან, აქვთ გარკვეული პოლიტიკური დღის წესრიგის „დაკვეთა“, რის საპასუხოდაც, ხშირად პოლიტიკური პარტიები „სოციალური სასურველობის“ ფაქტორის გავლენით, ამომრჩეველს სთავაზობენ თემებს და პროგრამებს, რომლებშიც თავადაც უჭირთ ორიენტაცია. ამიტომაც ბევრი საარჩევნო დაპირება მოქალაქეებისთვის შეთავაზებული საატყუარაა, რომელიც აქტუალობას კარგავს არჩევნების დამთავრებისთანავე. სამწუხაროდ, „მოიკოჭლებს“ კულტურა, რომ პოლიტიკური სუბიექტი იყოს ანგარიშვალდებული თავისი დაპირებების შესრულების საკითხში და ამომრჩეველი პრინციპულად მოითხოვდეს მისთვის მიცემული პირობის შესრულებას“.

შეხვედრის მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი

საინფორმაციო შეხვედრები
ქუთაისი

საინფორმაციო შეხვედრების მახასიათებელი იყო ის, რომ უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების უშუალო დიალოგი ამომრჩეველთან. ხშირად საარჩევნო სუბიექტები, განსაკუთრებით ახალი პოლიტიკური ძალის ან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები წუწუნებენ იმაზე, რომ მათ არა აქვთ, ან ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, საკმარისად წარმოაჩინონ საკუთარი თავი მედიაში, პოლიტიკურ დებატებში და ამის გამო არათანაბარ პირობებში იმყოფებიან მედიამხარდაჭერით „განებივრებულ“ პოლიტიკურ ძალებთან მიმართებით. შეხვედრებმა ეს ვაკუუმი ამოავსო იმ კუთხით, რომ ამომრჩეველთან კომუნიკაციისთვის პლატფორმაში მონაწილე ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტისთვის „გამტარი“ იყო ფონდი „სოხუმი“ და მათ ხვდებოდათ კეთილგანწყობილი სივრცე ჯანსაღი დისკუსიებისთვის, სადაც იყო კრიტიკული განწყობაც, ყველაზე აქტუალური თემების წამოწევა, დიალოგი.

პროექტის დაწყებიდანვე, ორგანიზაცია აქტიურ თანამშრომლობას სთავაზობდა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, ვინც გამოხატა სურვილი, შეხვედროდა მოქალაქეებს, სადაც ელექტრონული ხმის მრიცხველის პოპულარიზაციის გარდა, ეძლეოდათ შესაძლებლობა, ესაუბრათ პარტიის პროგრამაზე, მოესმინათ ამომრჩევლის დაკვეთა, გაცნობოდნენ მოქალაქეთა განწყობებს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ პროცესებზე. საინფორმაციო შეხვედრები ამ თანამშრომლობის მომდევნო ეტაპი იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, რომ პოლიტიკური პარტიები ნაკლებად არიან ორიენტირებული პროგრამულ სტანდარტებზე, უფრო მეტად „ნადირობენ“ ამომრჩევლისთვის მეტ-ნაკლებად აქტუალურ თემებზე და ამ თემებზე „მორგებით“ ცდილობენ, „მოიგონ“ ამომრჩევლის გული, ამის შესაბამისად, მათი წინასაარჩევნო დაპირებებიც ყველაზე პოპულარული თემების ირგვლივ ტრიალებს. შეხვედრებზე პოლიტიკური სუბიექტები შეზღუდული იყვნენ იმით, რომ ვერ „გადაუხვევდნენ“ მათ მიერ პლატფორმაზე დაფიქსირებულ პოზიციებს.

> ***„პოლიტიკური არჩევანი ხომ უფრო იმის მიხედვით კეთდება, რამდენად უფრო მოსწონს ამომრჩეველს პიროვნულად ესა თუ ის კანდიდატი, ან პარტიის წამყვანი სახეები რამდენად იწვევენ მის სიმპათიებს. ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტებს, მწყობრ პროგრამებს. ამ კუთხით ეს შეხვედრები პარტიებისთვისაც სასარგებლო იყო, იმისთვის, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამომრჩეველთან ანგარიშვალდებულებას და მწყობრ პროგრამებს. ერთ-ერთ შეხვედრაზე პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელმა აღმოაჩინა, რომ პლატფორმაზე მისი პარტიის მიერ დაფიქსირებული პასუხი მისთვისაც კი უცხო და მოულოდნელი იყო“.***
>
> *პროექტის მონაწილის კომენტარი*

> ***„საარჩევნო კამპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღების მიღმა რჩებიან შედარებით ახალგაზრდა პოლიტიკური სუბიექტები, ისინი, ვისაც ნაკლები რესურსი აქვთ, რომ საზოგადოებას გააცნონ თავი, საკუთარი ხედვა და პოზიციები და მიიღონ უკუკავშირი, მოისმინონ ჩვენი საჭიროებები, რას ველოდებით ჩვენ და რა მიგვაჩნია ყველაზე საჭირბოროტოდ. ამ შეხვედრამ ბევრ კითხვას გასცა პასუხი ორივე მხარისთვის“.***
>
> *შეხვედრის მონაწილის კომენტარი*

საინფორმაციო შეხვედრები

ხონი

წყალტუბო

ქობულეთი

ოზურგეთი

„ონლაინ ხმის მიცემის ელექტრონული მრიცხველი ერთ სივრცეში უყრის თავს პოლიტიკური სუბიექტების „პროდუქტს“ და ამომრჩეველს აქვს საშუალება, გაეცნოს მათ პოზიციებს, მიუსადაგოს საკუთარ ხედვებს და ნახოს საკუთარი პოლიტიკური გემოვნების საპასუხო ხედვები და დაპირებები. ეს განსაკუთრებით მომწონს ამ პლატფორმაზე“.

შეხვედრის მონაწილის კომენტარი

პოლიტიკური სუბიექტებისთვის ყველაზე ხშირად დასმული კითხვები: შეხვედრებზე, სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასმული კითხვები შეეხებოდა ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, ბინათმესაკუთრეობის, კომუნალური გადასახადების და სხვა სოციალურ საკითხებს. ხშირად ისმებოდა სოციალური დახმარებების მიზნობრიობის, ოჯახების ხელახლა გადამოწმების საკითხი, რადგან მოქალაქეთა შეფასებით, ძალიან უჭირთ ადამიანებს, რომლებსაც საარსებო მინიმუმიც კი არ აქვთ და ამ დროს სოციალური დახმარებების მიღმა არიან დარჩენილები. მათი აზრით, ამ მიმართულებით სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვის საკითხის სათანადო გააქტიურება პოლიტიკური სუბიექტების დღის წესრიგში უნდა დადგეს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა კოვიდ 19-ის მძიმე სოციალური და ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ შესასწავლია.

კულტურის მუშაკებთან შეხვედრაზე დაფიქსირდა, რომ კულტურის სფეროს წამოწევა ყველა წინასაარჩევნო შეხვედრის „მოდური“ თემაა, რასაც შემდეგ ასრულება არ უწერია, ამიტომ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს პლატფორმა დოკუმენტირებულად იძლევა საშუალებას, შეადარონ, რეალურად ვინ თვლის პრიორიტეტულად კულტურის საკითხებს და რას უნდა ელოდონ, განსხვავებით ამა თუ იმ კანდიდატის „საარჩევნო სურვილებისგან“, რომელიც ყოველთვის არ გამოხატავს პოლიტიკური ძალის რეალურ პოზიციას. შეხვედრის მონაწილეებმა საკუთარ პრობლემებზეც ისაუბრეს, მათი აზრით, დაბალი ხელფასები კულტურის მუშაკებისთვის ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პატივს არ სცემს, არ აფასებს კულტურას, რაც ძალიან გულდასაწყვეტია.

„მოსახლეობას სჭირდება თავისუფალი სივრცე, სადაც თავად ისაუბრებს. საზოგადოება უფრო ხშირად არის მსმენელის როლში და მას შეკითხვების დასმის საშუალება ან არ აქვს, ან არ უსმენენ. პროექტის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების „მთავარი პერსონაჟი“ იყო მოსახლეობა, რამაც კარგი შედეგი მოგვცა - დისკუსია იყო ძალიან ინტერაქტიული. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა რომ არ ყოფილიყო, ბევრი მათგანი ვერ გაიგებდა და არ დაინტერესდებოდა ონლაინ ხმის მრიცხველით. მათ ბევრი კითხვა დასვეს, ბუკლეტებიც წაიღეს, რომ ახლობლებისთვის გადაეცათ. ინფორმაციის გავრცელებაც ითავეს“;

„ხანდაზმულმა ქალბატონებმა წაიღეს ფლაერები, შვილებს, შვილიშვილებს ვთხოვთ და შეგვავსებინებენო“;

„ძალიან მიმზიდველი იყო ის, რომ პლატფორმისთვის არა აქვს მნიშვნელობა შენს ასაკს, პროფესიას, რა სტატუსის მატარებელი ხარ. პოზიტიურად იყო აღქმული მისი პოლიტიკურად ნეიტრალური არსი“.

შეხვედრების ფასილიტატორების კომენტარები

საინფორმაციო შეხვედრები
წალენჯიხა

ონლაინ შეხვედრები

ცაგერი
ამბროლაური
სამტრედია







„მოქალაქეთა გარკვეულმა ნაწილმა პროექტის ფარგლებში უფრო მეტი თანამშრომლობის სურვილიც დააფიქსირა. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, მათაც ჰქონოდათ საშუალება, შეეთავაზებინათ მათთვის საინტერესო კითხვები და იძებნებოდეს მათზე პასუხი“;

„ჩვენთან არ არის ისე, რომ ოღონდ მიიღონ ინფორმაცია და იმ წამსვე ეფექტურად გამოიყენონ. ამას სათანადო ჩვევა უნდა. შედარებით უფროსი ასაკის ადამიანებს ცოცხალი შეხვედრები ურჩევნიათ. თანაც მნიშვნელობა აქვს, რომელ სოციალურ ჯგუფზეა საუბარი, ასევე - რამდენად ენდობიან მას, ვინც ორგანიზებას უკეთებს შეხვედრას“.

შეხვედრების ფასილიტატორების კომენტარები

პროექტის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების შედეგებსა და მიღებულ გაკვეთილებზე საუბრისას შეიძლება ითქვას, რომ მათი საშუალებით მოხდა ხმის დათვლის ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია და ცნობადობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელი გახდა ამომრჩეველთა ჯგუფებთან, საარჩევნო სუბიექტებთან უშუალო კომუნიკაციით.

- გაჩნდა მოქალაქეთა გააზრებული არჩევანის მეტი შესაძლებლობა იმით, რომ საინფორმაციო შეხვედრებით გაიზარდა „ამომრჩეველთა რჩევის აპლიკაციის“ შესახებ ინფორმირებული მოქალაქეების რაოდენობა.

- საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია „ონლაინ ხმის მრიცხველის“ აპლიკაციის რესურსის თაობაზე: პროექტის შემსრულებლების მხრიდან ხდებოდა აპლიკაციის გამოყენების წესების მოკლე და გასაგებ ენაზე ახსნა და გაცნობა.

- ამომრჩევლებმა გააცნობიერეს, რომ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიგებენ, თუ რომელი პოლიტიკური პარტიის პროგრამა და ხედვა ემთხვევა მათ პოზიციას და ეს შესაძლებლობას მისცემთ, შემდგომში გააკეთონ უფრო გააზრებული არჩევანი.

- გამოჩნდა, რომ მოსახლეობის ნაწილი დაინტერესებულია ახალი ინფორმაციის მიღებით, ხოლო ნაწილი ინდიფერენტულია და ყველა შეხვედრას აიგივებს საარჩევნო აგიტაციასთან, ამიტომ საჭირო ხდებოდა პროექტის პოლიტიკურად ნეიტრალური ბუნების ხაზგასმა.

მოქალაქეთა სპეციფიკური ჯგუფები და მათი ინტერესები - როცა შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა იძულებით გადაადგილებული პირი იყო, ცხადია, ისინი მეტად დააინტერესა საკითხებმა, რომლებიც დევნილებს ეხებოდა. მათთვის საინტერესო იყო კონფლიქტების მოგვარების, იგპ-თა მიმართ პოლიტიკის საკითხები. არ დაუმალავთ, რომ ძალიან მიმზიდველი იყო ის, რომ პლატფორმა ასახავდა მათთვის მნიშვნელოვან საკითხთა დიდ სპექტრს.

საინფორმაციო შეხვედრების შეზღუდვები - პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო პროექტში დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრები გარკვეული პერიოდის შემდეგ

საინფორმაციო შეხვედრები
ზუგდიდი

კითხვის ქვეშ დადგა. დახურულ სივრცეში მხოლოდ მათი ნაწილის ჩატარება მოხერხდა. დანარჩენი შეხვედრები გაიმართა დადგენილი რეგულაციების დაცვით, ღია სივრცეში. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეხვედრის დაგეგმვა და წაყვანა ხდებოდა განსაკუთრებული სიფრთხილით და უსაფრთხოების ყველა ზომის დაცვით. თითოეულ მონაწილეს გადაეცა სპეციალურად დამზადებული პირბადეები, სასმელი წყალი და სადეზინფექციო საშუალებები. დაცული იყო ყველა რეკომენდაცია, რასაც კოვიდ-19 გავრცელების პრევენცია ითვალისწინებს.

მეთოდოლოგიური გათვლა - საინფორმაციო შეხვედრების აუცილებლობის საკითხი აგებული იყო იმაზე, რომ არის მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც ნაკლებად „მეგობრობს“ თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ისინი ან ვერ მიიღებდნენ ინფორმაციას ელექტრონულ მრიცხველზე, ან ვერ ისარგებლებდნენ ამ ინსტრუმენტით. ეს მეტწილად ეხება სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს და მოქალაქეთა შედარებით უფროს ასაკობრივ კატეგორიას. მათი მოზიდვა მოხდა ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან კოოპერაციით.

მხედველობაში იყო მისაღები ის, რომ პლატფორმა არის ძალიან ახალი და სპეციფიკური პროდუქტი, რომლის ცნობადობა ნაკლებია და მისი მოკლე დროში მიღება მოქალაქეების გარკვეულ ნაწილს გაუჭირდებოდა, ან დასჭირდებოდა დამატებითი ინსტრუქციები და „ცოცხალი“ ახსნა, რატომ არის ის საინტერესო და რას მისცემს, როგორც პლატფორმის მომხმარებელს. ასევე საჭირო ხდებოდა დამატებით ახსნა-განმარტებები, რომ მათი ინტერვენცია ბოლომდე ანონიმურია და დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპი. მთლიანად გამორიცხულია მათი პოლიტიკური გემოვნების საკითხის გასაჯაროება. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი საკმაოდ ბევრი ადამიანის შფოთვას იწვევდა.

მიღებული ინფორმაციის მიმართ განსაკუთრებული აქტიურობით და მიმღებლობით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდები, მათ შორის ისინიც, ვინც ჯერ ვერ ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში. პროექტს, ერთმნიშვნელოვნად, პოზიტიური გავლენა ექნება მათი საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბებაზე.

საინფორმაციო შეხვედრებზე ხდებოდა იმ საკითხის ხაზგასმა, რომ პროცესი გაგრძელდება არჩევნების შემდგომ, როდესაც ამომრჩეველს შეეძლება, პარლამენტში მოხვედრილ პოლიტიკურ ძალებს შეახსენოს მათი პროგრამები და მოსთხოვოს მათი შესრულება, თუმცა ამ ნაწილში მათი ნიჰილიზმი თვალშისაცემი იყო.

ამომრჩევლებთან უშუალო შეხვედრებით მიღწეულ იქნა დასახული მიზანი - მოხდა ელექტრონული ხმის მრიცხველის პოპულარიზაცია, მისი სარგებლობის პრინციპის ახსნა მოქალაქეთა სხვადასხვა ფენისთვის; ახალი, უფრო მაღალი პოლიტიკური კულტურის ჩანასახების ხელშეწყობა, მოქალაქეთა ნიჰილიზმის დაძლევის მცდელობა და არჩევნების მიმართ ინტერესის და ლოიალობის გაზრდა.

ფონდი „სოხუმის“ მიმართ ლოიალობა და სანდოობის მომენტი - საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა ფონდის მრავალრიცხოვანი ბენეფიციარების ნაწილს წარმოადგენდა. ისინი ენდობიან ორგანიზაციას და სიახლე, რომელიც

www.onlinemricxveli.ge

მათ მიერ იყო ინიცირებული, იწვევდა ნდობას და ინტერესს. მათივე დახმარებით განხორციელდა ინფორმაციის რეპლიკაცია. საინფორმაციო ფლაერებით შეიარაღებული ეს კატეგორია უკვე თავის მიკროსოციუმში გახდა ინფორმაციის გამტარი ონლაინ ხმის მრიცხველის თაობაზე.

თანაბარი სასტარტო პირობები - მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისთვის მიმზიდველი იყო ის, რომ პლატფორმით მოსარგებლე ყველა პირი, მიუხედავად თავისი წარმომავლობისა, სოციალური და ინტელექტუალური კაპიტალისა, თანაბარ სასტარტო პირობებშია ნებისმიერ სხვა პირთან. ეს ზრდის მათ ინტერესს პლატფორმის მიმართ და ანეიტრალებს საკითხს, რომ მოწყვლად ჯგუფებს ნაკლები აქვთ ინფორმაციის მიმღებლობა და მისი ინტერპრეტირების უნარები; ასევე ნიჰილიზმს და მოსაზრებას, რომ მათი აქტიურობით მაინც არაფერი შეიცვლება.

ანონიმურობა - შეხვედრის მონაწილეთა დიდი ნაწილი ინტერესდებოდა: ხომ იქნება დაცული კონფიდენციალურობა და რამდენად შეიძლება იმ პიროვნების იდენტიფიცირება, ვინც შეავსო კითხვარი. პლატფორმის სარგებლობისას ანონიმურობის დაცვის პრინციპი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

საინფორმაციო შეხვედრების მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო **სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების უშუალო დიალოგის უზრუნველყოფა ამომრჩეველთან.** შეხვედრების მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვნად გაუსვეს ხაზი იმას, რომ თავად პლატფორმის იდეამ, რომელიც პირველადი იყო ამ შეხვედრებზე, გარკვეულწილად, „ხიდის“ როლი შეასრულა ამომრჩევლებთან კომუნიკაციის და უშუალო დიალოგის პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა ფონდის მიერ შერჩეული ნეიტრალური ფასილიტატორების მონაწილეობით.

თავი V

მასმედიასთან მუშაობა

ლალი შენგელია

მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის შექმნაში

მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა.

კარგი შედეგები მივიღეთ.

წარმატებაში თავისი როლი შეასრულა მასმედიამ. ეს ბუნებრივია, რადგან განუზომელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

არჩევა რომ შემეძლოს: მთავრობა გაზეთების გარეშე, თუ გაზეთები მთავრობის გარეშე, დაუფიქრებლად მეორეს ავირჩევდიო, - განაცხადა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ამერიკის პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა. მაშინ მასმედია, ჟურნალისტიკა (ფრანგული სიტყვიდან journal - დღიური, გაზეთი) მხოლოდ ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემებს აღნიშნავდა. მას მერე ორ საუკუნეზე მეტი გავიდა და ჟურნალისტიკის სფერო გაიზარდა, დაემატა რადიო და ტელევიზია... ახლა კი ადამიანთა უმეტესობა ინფორმაციას ინტერნეტის, სოციალური მედიის საშუალებით იღებს.

21-ე საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გარეშე წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა. „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებენ ადამიანებზე დიდი გავლენის გამო. მასმედიას ხშირად ადარებენ ფანჯარას, საიდანაც ვუყურებთ სამყაროს. იმ კარებსაც ეძახიან, საიდანაც ჩვენ ცნობიერებაში შემოდის აზრები და იდეები.

ჩვენც ამიტომ აქტიურად ჩავრთეთ მასმედია.

მით უმეტეს, ფონდი „სოხუმი“ გამორჩეულ ყურადღებას უთმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: 20 წელია, აქვს თავისი გამოცემები (პერიოდული ჟურნალ-გაზეთები, ანგარიშები, მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელოები, ანალიტიკური სტატიები, გზამკვლევები). წლების მანძილზე ჰქონდა რადიოსიუჟეტების და სატელევიზიო გადაცემების საკუთარი რუბრიკები რეგიონულ ტელერადიოკომპანიებში, ახლაც არაერთი თემატური სიუჟეტი და გადაცემა გადის ორგანიზაციის დაკვეთით თუ მისი თანამშრომლების მონაწილეობით. ფონდს აქვს სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) ვებგვერდები, ფეისბუქგვერდები, საკუთარი იუთუბარხი.

მოკლედ, ფონდმა „სოხუმმა“ კარგა ხანია, იცის ინფორმაციის გავრცელების ფასი და მნიშვნელობა.

ამიტომაც ამ პროექტში დასაწყისიდანვე მასმედიასთან მუშაობას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო.

არჩევნები - მასმედიის აქტუალური თემა

არჩევნები ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მასმედიისთვის კი - მომგებიანი, საინტერესო და აქტუალური თემა. მედია, როგორც საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, განსაკუთრებით დიდ ძალას იძენს წინასაარჩევნო პერიოდში. ისეც ხდება, რომ მედიის მეშვეობით, ადამიანმა შეიძლება ისე მისცეს ხმა საარჩევნო კანდიდატს, რომ საერთოდ არ იცნობდეს მას და მის საარჩევნო პროგრამას.

ჩვენი მუშაობაც წინასაარჩევნოდ გააქტიურდა, რადგან პროექტი არჩევნებთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებით საინტერესოა, როცა მედიას ასეთი სიტყვებით წარუდგენ სათქმელს:

> *პირველად საქართველოში - აპლიკაცია „ონლაინ ხმის მრიცხველი - ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია“!*

მედიას „უყვარს“, როცა რაღაც განსაკუთრებული ხდება. და თუ ეს პირველია, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

მედიისთვის ჩვენი ძირითადი ინფორმაცია ასეთი იყო:

> *პირველად საქართველოში - აპლიკაცია „ონლაინ ხმის მრიცხველი - ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია“!*
>
> *შეავსეთ ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია - გააკეთეთ გაცნობიერებული არჩევანი!*
>
> *www.onlinemricxveli.ge*
>
> *აპლიკაცია დაგეხმარებათ, გაიგოთ, რომელი პოლიტიკური პარტია დგას ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან, რათა შეძლოთ გააზრებული არჩევანის გაკეთება.*
>
> *აპლიკაცია ეყრდნობა ევროპის, კერძოდ, ვიშეგრადის ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებას და საქართველოში ინერგება ფონდი „სოხუმის“ მიერ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით.*
>
> *„ონლაინ ხმის მრიცხველში“ ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, შეზღუდვების გარეშე და სრულიად კონფიდენციალურია.*
>
> *გაიგეთ, რომელი პარტიის ხედვაა ახლოს თქვენს პოზიციასთან!*
>
> *გადადით ბმულზე www.onlinemricxveli.ge*

საინფორმაციო მასალების მომზადება

ყველაფერი დეტალურად დაიგეგმა: რა გაგვეშუქებინა, როგორ, რა ფორმებით. შევისწავლეთ ევროპული პრაქტიკა, მივუსადაგეთ ქართულ გარემოს, მივენდეთ ჩვენს ინტუიციას, საკუთარ მდიდარ გამოცდილებას და, რა თქმა, უნდა, ჩავრთეთ ჩვენი მედიაპარტნიორები.

რა გაკეთდა?

ინფორმაციის გასავრცელებლად და ადამიანთა ყურადღების მოსაპყრობად გვქონდა რამდენიმე საშუალება: პოსტერი, საინფორმაციო ფურცელი, ბანერი და ანიმაციური ვიდეორგოლი.

პოსტერი - დაიბეჭდა სხვადასხვა ზომის პოსტერი. როგორც წესი, პოსტერი შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ ელემენტებს. ჩვენს პოსტერებში მხოლოდ ტექსტი იყო - მოწოდება, რომ ამომრჩეველს შეევსო ონლაინ მრიცხველი და მითითებული იყო ბმული. ეს პოსტერები დარიგდა საინფორმაციო შეხვედრებზე.

საინფორმაციო ფურცელი - დაიბეჭდა ტრიპლეტი (სარეკლამო პოლიგრაფიის ერთ-ერთი სახეობა, სამად გაკეცილი ფურცელი), რომელზეც წარმოდგენილი იყო ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება არჩევნებთან დაკავშირებით, ონლაინ მრიცხველის არსი და კითხვარის შევსების წესი.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1997 წლიდან მუშაობს დასავლეთ საქართველოში გენდერული თანასწორობის, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების და სამშვიდობო პროცესში ქალთა ჩართვისთვის. თავისი პროექტებით, ორგანიზაცია 2005 წლიდან ხელს უწყობს დიალოგს მოსახლეობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

წინასაარჩევნოდ დასავლეთ საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ინფორმირება სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა: ამომრჩეველ ქალთა კლუბების მუშაობა, საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, პუბლიკაცია „საარჩევნო გზამკვლევი“ (პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტების კრებული), სატელევიზიო და რადიოსიუჟეტები, აქციები ქალ-კანდიდატთა მხარდასაჭერად.

„ონლაინ ხმის ელექტრონული მრიცხველი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“

„ონლაინ ხმის მრიცხველი“ იქმნება ფონდი „სოხუმის“ მიერ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით - ჩეხეთის, პოლონეთის და სლოვაკეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ფონდმა „სოხუმმა“ შეისწავლა ონლაინ ხმის ელექტრონული მრიცხველის „ამომრჩეველთა რჩევის აპლიკაციის“ (Voter Advice Application) ევროპაში აპრობირებული და წარმატებული მოდელი.

პროექტის ფარგლებში:

- ჩატარდა შეხვედრები ვიშეგრადის ქვეყნების ექსპერტებთან
- გაიმართა ვორკშოპები და ვებინარები
- გამოიცა კრებული „ვიშეგრადის ქვეყნების და საქართველოს გამოცდილება საარჩევნო სისტემის განვითარების და არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობის გაძლიერების საქმეში“

Visegrad Fund

„ამომრჩეველთა რჩევის აპლიკაციის“ დახმარებით მიიღე გაცნობიერებული გადაწყვეტილება!

www.onlinemricxveli.ge

საპროექტო ვებგვერდი www.fsv4.ge

ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდი www.fsokhumi.ge



ბანერი - ეს სარეკლამო ხასიათის ნაწარმი მომზადდა ონლაინ გამოცემებისთვის. სტატიკური ბანერი და GIF-ბანერი, რომელშიც რამდენიმე კადრი იყო წარმოდგენილი.



ანიმაციური ვიდეორგოლი - ანიმაცია, ასევე მულტიპლიკაცია (ლათ. multiplicatio - გამრავლება) სტატიკური გამოსახულებების დროში მონაცვლეობით შექმნილი მოძრაობის ოპტიკური ილუზია. ეს ფორმა ნეიტრალურობას სძენს მასალას, ამიტომაც სწორედ ანიმაციით გადავწყვიტეთ სათქმელის გამოხატვა.

ეს საქმე მივანდეთ ახალგაზრდა თვითნასწავლ მხატვარს კესო წირღვავას.

ეს იყო ჩვენი ყველაზე მთავარი ინსტრუმენტი, ამიტომაც მუშაობის პროცესი დიდხანს გაგრძელდა: ამ თემაზე შექმნილი ევროპული ვიდეორგოლების გაცნობა, სცენარის დაწერა, ანიმაციური პერსონაჟების შერჩევა, მოკლე ტექსტური მესიჯების ფორმულირება, გახმოვანება... გახმოვანებისთვის შერჩეულ იქნა ქალის და ბიჭის ხმები - ასაკობრივი და სქესობრივი ბალანსის დაცვით. ნახატების საფუძველზე ვიდეორგოლი მოამზადა საინფორმაციო სააგენტომ „აქტ2“. სამუშაო ვერსიების განხილვაში ფონდი „სოხუმის“ ყველა თანამშრომელი მონაწილეობდა. თითოეული ფრაზა იწერებოდა ფრთხილად, იხვეწებოდა გზადაგზა, რომ რაც შეიძლება მიუკერძოებელი, ადვილად აღსაქმელი და მოსასმენად საინტერესო ყოფილიყო.

ინფორმირება

შემდგომ ეტაპზე დაიწყო ინფორმირება. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაეგო ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის შესახებ და შეევსო ის. ამისთვის გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი და საშუალება.



პრესკონფერენცია

ჩავატარეთ პრესკონფერენცია - პრესისთვის, ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ღონისძიებების ერთ-ერთი სახეობა. მისი მიზანი იყო მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სიახლის შესახებ. პრესკონფერენცია გაიმართა კოვიდ-19-ის პირობებში ლოქდაუნის (ჩაკეტვა, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა საგანგებო ვითარების გამო) დროს – Zoom-ის პლატფორმაზე. ამან გააფართოვა ჟურნალისტთა ჩართვის შესაძლებლობა. ჩვეულებრივი რეჟიმის დროს თუ მხოლოდ ქუთაისში მყოფ მედიასაშუალებებს მოვიწვევდით, ონლაინ ამჯერად 30-მდე მედიასაშუალება იქნა ჩართული თბილისიდან და იმერეთის, სამეგრელოს, გურიის რეგიონებიდან. ჟურნალისტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ინფორმაცია, თვითონაც შეავსეს კითხვარი და სხვებსაც მოუწოდეს ჩართვისკენ.



ტელეგადაცემები

ტელემაუწყებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წინასაარჩევნო პერიოდში. ძირითადად, მათ სარედაქციო პოლიტიკაზეა დამოკიდებული, რა ფორმით და როგორ მიიღებენ საარჩევნო კანდიდატების შესახებ ინფორმაციას ამომრჩევლები. წლების მანძილზე სადისკუსიო გადაცემებსა და საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ სულ უფრო იზრდება მაუწყებელთა პოლარიზაცია - ტელესივრცე ორპოლუსიანი ხდება, მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების სასარგებლოდაა მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციისადმი.









ჩვენი ტელეგადაცემები, რა თქმა უნდა, ნეიტრალური იყო. მათში აისახა ახალი ონლაინ პლატფორმის არსი, ითქვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობასა და ევროპულ გამოცდილებაზე. მთავარი სათქმელი მიემართებოდა მაყურებლისკენ, ამომრჩევლისკენ, რომ ის ჩვენი აპლიკაციის მეშვეობით გაცნობოდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების მოკლე მიმოხილვას, მათ პასუხებს აქტუალურ შეკითხვებზე და ასე განესაზღვრა, რომელი პარტია შეძლებდა მისი საჭიროებების და პრობლემების მოგვარებას.

ტელეგადაცემები განთავსდა ფონდი „სოხუმის“ და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდებზე, ორგანიზაციის იუთუბარხზე, ორივე ფეისბუქგვერდზე, ასევე გააზიარეს ფონდის თანამშრომლებმა. ფეისბუქგვერდზე დაიდო გადაცემის ცალკეული ინტერვიუები. ესეც მაყურებლის მოზიდვის ერთგვარი საშუალებაა, რადგან ერთსაათიან გადაცემასთან შედარებით ბევრად მეტი ნახვა აქვს 3-5-წუთიან ფრაგმენტებს. ყოველივე ამან გააფართოვა აუდიტორია და საგრძნობლად გაზარდა ინფორმირებულ ადამიანთა რიცხვი.

ონლაინ გამოცემები

ინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად გამოვიყენეთ ონლაინ სააგენტოების სივრცე. ყურადღება შევაჩერეთ ჩვენს პარტნიორ სააგენტოებზე, რომელთა რეიტინგი საკმაოდ მაღალია. ზოგიერთ მათგანზე განთავსდა სტატიკური ბანერი - მასზე მითითებულ ბმულზე დაწკაპუნებით შესაძლებელი იყო ონლაინ მრიცხველზე გადასვლა და მისი შევსება.

ზოგან განთავსდა GIF-ბანერი და ვიდეორგოლი, რომელიც ხსნიდა აპლიკაციის არსს და მკითხველს შეეძლო ბმულის მეშვეობით მასზე გადასვლა. ონლაინ გამოცემები აადვილებდა ბმულთან დაკავშირებას - ეს ხდებოდა სწრაფად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ერთი დაწკაპუნებით და მრავალრიცხოვანი მკითხველის ყურადღებას იპყრობდა.

ვებგვერდი

ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელებას განსაკუთრებული ეფექტი აქვს. ფონდ „სოხუმს“ 2009 წლიდან აქვს სამენოვანი ვებგვერდი http://fsokhumi.ge, რომელზეც განთავსებულია მულტიმედიური ინფორმაცია (ნიუსები, ვიდეორგოლები, ტელე და რადიოგადაცემები, გამოცემების PDF ფაილები) ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. პროქტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი https://www.fsv4.ge - აქ ასახულია მხოლოდ საპროექტო აქტივობები.

ონლაინ მრიცხველის ბმული განთავსდა ვებგვერდის ზედა ნაწილში. მკითხველს მარტივად შეეძლო მრიცხველზე გადასვლა და მისი შევსება.

www.onlinemricxveli.ge

ფეისბუქგვერდი

ფეისბუქი საქართველოში სოციალური მედიის ყველაზე პოპულარული პლატფორმაა. ეს არის ახალი მედია, როდესაც ინფორმაცია გადაიცემა ინტერნეტით. ტრადიციული მედია სანამ მკითხველამდე, მსმენელამდე ან მაყურებლამდე მივა, რამდენიმე ეტაპს გადის. სოციალურმა მედიამ კი გააადვილა წვდომა აუდიტორიასთან, გაამარტივა კომუნიკაცია, გაზარდა ოპერატიულობა.

ჩვენი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებაში საკმაოდ დიდი წილი იტვირთა სოციალურმა მედიამ. ორგანიზაციის ფეისბუქგვერდსა და საპროექტო ფეისბუქგვერდზე დაიბეჭდა ნიუსი ყველა აქტივობის შესახებ, განთავსდა სატელევიზიო გადაცემები, ვიდეორგოლი, პოსტერი, საინფორმაციო ფურცელი, ბანერი - და ყველგან მითითებული იყო ონლაინ მრიცხველის აქტიური ბმული (ანუ მასზე დაწკაპუნებით ადამიანი მრიცხველზე გადადიოდა). მოეწყო ერთგვარი ფეისბუქკამპანია - ყველა თანამშრომელი აზიარებდა ინფორმაციას ონლაინ მრიცხველის შესახებ, უთითებდა ბმულს და ამგვარად ათასობით ადამიანი ეცნობოდა ამ სიახლეს.

მიღებული გაკვეთილები

პროექტი ონლაინ მრიცხველის დანერგვას გულისხმობდა და კოვიდპანდემიამ დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ მუშაობა.

პროექტის აქტივობების ნაწილი ცოცხალი შეხვედრებით განხორციელდა და ამ შეხვედრებზე გავრცელდა საინფორმაციო ფურცლები და პოსტერები. მეორე ნაწილმა კი ინტერნეტში გადაინაცვლა და ისიც არანაკლებ აქტიურად წარიმართა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა და მთელ ამ პროცესში მთელი სისავსით იყო ჩართული მასმედია.

მომზადდა: პოსტერი, საინფორმაციო ფურცელი, ბანერი და ანიმაციური ვიდეორგოლი.

ჩატარდა პრესკონფერენცია. გაიმართა ტელეგადაცემები.

ინფორმაციის გავრცელება თავიდან მოხდა ცოცხალ საინფორმაციო შეხვედრებზე, შემდეგ კი - ონლაინ. ინფორმაციები სისტემატურად თავსდებოდა ორგანიზაციის და საპროექტო ვებგვერდებსა და ფეისბუქგვერდებზე, ონლაინ სააგენტოს გვერდებზე.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა წინასაარჩევნო პერიოდზე, როდესაც ამომრჩევლები ეძიებდნენ ინფორმაციას პოლიტიკურ სუბიექტებზე.

ინფორმირების პროცესმა კარგად დაგვანახა რამდენიმე ასპექტი:

- ინფორმაციის ონლაინ მიღება თანდათან უფრო პოპულარული ხდება და პანდემიამ ამის საჭიროება კიდევ მეტი სიმძაფრით დასვა დღის წესრიგში.

- მასმედიამ დიდი ინტერესით მიიღო სიახლე ონლაინ მრიცხველის შესახებ და ხელი შეგვიწყო ინფორმაციის გავრცელებაში.
- არჩევნების მეორე ტურის გამოცხადებამ გაზარდა აპლიკაციის მოქმედების ვადა და, შესაბამისად, იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც გაეცნო ამ სისტემას და შეავსო კითხვარი.
- მოხდა ამომრჩევლის მაღალი ინტერესის დემონსტრირება - ამაზე მეტყველებს საბოლოო შედეგი: 15 სექტემბრიდან 21 ნოემბრამდე ამომრჩეველთა რჩევის აპლიკაცია შეავსო 68 760-მა ადამიანმა.
- თვალსაჩინოა ფონდის გუნდურობა - ორგანიზაციის ყოველი წევრი მოწადინებული იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის მიეწვდინა ხმა. ყველა აქტივობა და განსაკუთრებით აპლიკაციის ინტერნეტ მისამართი, ონლაინ ბმული ზიარდებოდა პირად გვერდებზე - ფეისბუქზე, ინსტაგრამზე.
- ასეთი მონდომების და აქტიურობის შედეგად მრიცხველზე დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი - 68 760. აშკარაა, რომ ამ მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგო, თუმცა არ შეავსო. ნაწილმა თავი შეიკავა, ზოგი სკეპტიკურად განეწყო, ზოგმა ჩვეული გულგრილობა გამოიჩინა - „მაინც არაფერი შეიცვლებას“ პრინციპით. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც იდენტიფიცირების შეეშინდათ, სხვადასხვა გარემოების გამო.

მთავარი ის არის, რომ აპლიკაცია წარმატებით დაინერგა. ორგანიზაციამ კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა და დიდი გამოცდილება მიიღო შემდგომი არჩევნებისთვის. არსებობს მოდელი, დეტალური გეგმა, სამუშაო პროცესის თანმიმდევრობა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი აკისრია მასმედიას.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ის არასდროს მოგვწონს, თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური პრესის გარეშე არაფერი გამოგვივა,“ - ამბობდა ჯონ კენედი.

იგივე ითქმის მასმედიაზე.

მასმედიის აქტიურმა ჩართვამ ჩვენს მუშაობასაც მეტი ეფექტი, მასშტაბი და რეზონანსი შესძინა.

www.onlinemricxveli.ge

საპარლამენტო არჩევნები - 2020

ონლაინ ხმის ელექტრონული მრიცხველი - ამომრჩეველთა რჩევის აპლიკაცია

კითხვარი

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება

1. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

2. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

3. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ უნდა გაღრმავდეს ეკონომიკური კავშირები რუსეთთან?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

4. ეთანხმებით თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას და მის ჩანაცვლებას საკონტრაქტო სისტემით?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

კონფლიქტების ტრანსფორმაცია, ნდობის აღდგენა და იძულებით გადაადგილებული პირები

5. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება უპირობოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

6. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველომ მეტი ფინანსური რესურსი უნდა ჩადოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში, რათა შემცირდეს მათი დამოკიდებულება რუსეთზე? (სახელმწიფო პროგრამა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის“ უფრო ქმედითი განხორციელებისთვის)

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

7. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უნდა გაიზარდოს ჯანდაცვის პროგრამები, უფასო სამედიცინო სერვისების მოცულობები, რაც ხელს შეუწყობს ხალხებს შორის ურთიერთობების აღდგენას და შერიგებას?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

8. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა საქართველოსა და საზღვარგარეთ, რათა შემცირდეს მისი დამოკიდებულება რუსეთზე?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

9. ეთანხმებით თუ არა, რომ დევნილთა პრობლემების გადაწყვეტა (დროული განსახლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართვა, დასაქმება ან/და სხვ.) უნდა გახდეს პრიორიტეტული?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

10. ეთანხმებით თუ არა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება დაფუძნებული უნდა იყოს საჭიროებაზე და არა სტატუსზე?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

გენდერული თანასწორობა

11. ეთანხმებით თუ არა, რომ მეტი ქალი უნდა იყოს ჩართული ქვეყნის მართვაში და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე და ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საარჩევნო სიაში ფიქსირებული გენდერული კვოტების შემოღება?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

www.onlinemricxveli.ge

12. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის, ასევე ფემიციდის პრევენციის და რეაგირების საქმეში?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

13. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს მხარდაჭერის უფასო სერვისები, მათ შორის, ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რათა ქალებს საშუალება მიეცეთ, აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

სოციალური დაცვა

14. ეთანხმებით თუ არა, რომ უნდა მოხდეს სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაცია და გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მინიჭების, გაუქმების ან აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

15. ეთანხმებით თუ არა, რომ სოციალურად დაუცველი ჯგუფების გასაძლიერებლად და დასაქმების სტიმულირებისთვის მათ მიერ მეწარმეობის წამოწყება ან სხვა სახით დასაქმება არ უნდა გახდეს სტატუსის და დახმარების მოხსნის საფუძველი (ერთი წლის განმავლობაში მაინც)?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

16. ეთანხმებით თუ არა, რომ სადღეისოდ მოქმედი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა წარმატებულია?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

17. ეთანხმებით თუ არა მოქმედ საპენსიო რეფორმას და დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათს?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

ინკლუზია

18. ეთანხმებით თუ არა, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

19. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენლებს (ნაციონალური, რელიგიური, სექსუალური) სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა სახელმწიფოსგან საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

ეკონომიკა

20. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელმწიფო ვალების შემცირება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გზით?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

21. ეთანხმებით თუ არა, რომ უნდა შეიზღუდოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელებზე და, ამავდროულად, შეიქმნას აგროსექტორში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდის წამახალისებელი სხვა ფორმები?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

22. ეთანხმებით თუ არა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია გადასახადების ოდენობის შემცირება?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

23. ეთანხმებით თუ არა, რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობის თანდათანობით შემცირებას?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

www.onlinemricxveli.ge

24. ეთანხმებით თუ არა პროგრესიული გადასახადის შემოღების იდეას (ანუ მაღალშემოსავლიანი პირები იხდიან მეტს აბსოლუტური ოდენობის თვალსაზრისით)?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

25. ეთანხმებით თუ არა, რომ უნდა აიკრძალოს აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამები, როგორც სატელევიზიო, ასევე ელექტრონულ ფორმატში, ინტერნეტში, გარე რეკლამებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

26. უნდა სარგებლობდეს თუ არა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოს მხრიდან მინიჭებული ექსკლუზიური პრივილეგიებით (მაგ., სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა, გადასახადებისგან გათავისუფლება და სხვ.)?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

განათლების სისტემა

27. თქვენი აზრით, განათლების არსებული სისტემა უზრუნველყოფს თუ არა ხარისხიან და ფინანსურად ხელმისაწვდომ განათლებას?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

28. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელწიფომ უნდა გაზარდოს განათლების სფეროს დაფინანსება?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

გარემოს დაცვა

29. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს საზოგადოებრივი ელექტროტრანსპორტის წახალისება?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

30. ეთანხმებით თუ არა, რომ სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და გაამკაცროს ბაზარზე არსებული საკვები პროდუქტების, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნივთების მავნე ნივთიერების შემცველობაზე კონტროლი?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

საგზაო უსაფრთხოება

31. ეთანხმებით თუ არა, რომ გზებზე მეტი კონტროლი და საგზაო მოძრაობის დარღვევებისათვის ჯარიმების გაზრდა შეამცირებს საგზაო შემთხვევებს?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

32. ფიქრობთ თუ არა, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანა მეტ რისკს იწვევს გზაზე და უნდა აიკრძალოს საქართველოში?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

სასამართლო სისტემა

33. ეთანხმებით თუ არა, რომ დღეს არსებული სასამართლო სისტემა უზრუნველყოფს სამართლიან და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

სამართლიანი არჩევნები

34. ეთანხმებით თუ არა, რომ პროპორციული არჩევნები საუკეთესო გზაა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად?

კი *არა* *ნაწილობრივ ვეთანხმები*

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge
www.fsv4.ge

www.facebook.com/fsokhumi/
www.facebook.com/FundSukhumi.VisegradFund

ონლაინ „ხმის მრიცხველის“ - ამომრჩევლის რჩევის აპლიკაციის (VOTER ADVICE APPLICATION) დანერგვა საქართველოში - მიღებული გაკვეთილები

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო